საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 27 თებერვლის
დადგენილება №2345

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და
BP საქართველოს ერთობლივი პროექტის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და BP საქართველოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს დაფინანსებით (სტუ-ის და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს 2016 წლის 1-ელი სექტემბრის №120 კონტრაქტი), ემსახურება პროფესიული განათლების სფეროს განვითარებას. პროექტით გათვალისწინებულია 2017 წლის შემოდგომიდან პროფესიული განათლების პროგრამების შეთავაზება სტუდენტებისათვის. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სტუ-ის მე-6 კორპუსში, მე-7 სართულზე გამოიყოს ხუთი აუდიტორია (№703, №705, №707, №709, №711) ლექციების ჩასატარებლად.

დაევალოს შესაბამის სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება და ზემოაღნიშნული აუდიტორიების ცხრილში ჩასმა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე